სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52180861424818

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N181428416

რეგისტრაციის თარიღი

21.11.2018 წ

ნოტარიუსი: თამარ ჩაფიძე
მისამართი: ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზ #7 ბ25
ტელეფონი: 599237708

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## სანოტარო აქტი
## მინდობილობა

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაერთ ნოემბერს მე ნოტარიუსს თამარ ჩაფიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქუთაისი ირ.აბაშიძის გამზირი №7 ბ.25 მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა – ქალბატონმა ნინო ხმელიძემ (დაბადებული 19.08.1991წ. ქუთაისში, პირადი #60001145531, პირადობის მოწმობა 12IA97581 რეგისტრირებული: ქუთაისი, შოთა ლეჟავას ქ. №4 ბინა 8) მან განაცხადა, რომ იგი არის შპს "სანოს" (იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №24 ბინა 50, საიდენტიფიკაციო კოდი: #412741975) დირექტორი (ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 16.11.2018წ. ირკვევა, რომ იგი წარმოადგენს საზოგადოების დირექტორს) და მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რომ მას ნამდვილად სურდა მინდობილობის შედგენა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ სანოტარო აქტის შედგენის მომენტისათვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, უფლებამოსილება. შემდეგ შევადგინე მინდობილობის შინაარსი და წავუკითხე საკუთრების მიმნდობს, თან განვუმარტე, რომ მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მიმნდობმა პირადად წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაერთ ნოემბერს ქალბატონმა ნინო ხმელიძემ (დაბადებული 19.08.1991წ. ქუთაისში, პირადი #60001145531, პირადობის მოწმობა 12IA97581 რეგისტრირებული: ქუთაისი, შოთა ლეჟავას ქ. №4 ბინა 8) როგორც შპს "სანოს" (იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №24 ბინა 50, საიდენტიფიკაციო კოდი: #412741975) დირექტორმა, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობმა", ამ მინდობილობით ბატონ მამუ ტუკვაძეს (დაბადებული 13.05.1968წ. ქუთაისში პირადი №60003010573) და ქალბატონ აზა იფშირაძეს (დაბადებული 28.09.1969წ. ქობულეთში, პირადი № 61004012473) შემდგომში როგორც "მინდობილ პირებს", რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ უფლებას განახორციელებენ, როგორც ერთობლივად, ისე ცალცალკე, საზოგადოების სახელით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან:

1. გამოვიდნენ **შპს "სანოს"** (ს/კ: 412741975) სახელით დადებულ სხვადასხვა ხელშეკრულებებში, დადონ და გააუქმონ ნებისმიერი ხასიათის ხელშეკრულებები, (რაც დაკავშირებული იქნება საზოგადოების სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან, მათ შორის იჯარის, ნასყიდობის, შრომითი, მიწოდების, ნარდობის და ა. შ.) შეიტანონ ცვლილებები აღნიშნულ ხელშეკრულებებში და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ მათი რეგისტრაცია შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში.
2. მართონ და განკარგონ საქართველოს ნებისმიერ ბანკში **შპს "სანოს"** (ს/კ: 412741975) სახელით ნებისმიერი ტიპის ანგარიშები, აწარმოონ მათზე საბანკო – საფინანსო ოპერაციები, მოახდინონ მასზე თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვები, კონვერტაცია ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა და ამონაწერი საზოგადოების კუთვნილი ანგარიშების შესახებ. გახსნან და ისარგებლონ ინტერნეტ ბანკით და სმს ბანკით. გადაიხადონ საზოგადოების სახელზე რიცხული დავალიანებები. მიიღონ და ისარგებლონ საზოგადოების კუთვნილი პლასტიკური ბარათებით, მიიღონ მათზე რიცხული თანხები მიუხედავად მისი ოდენობისა, მოახდინონ **შპს "სანოს"** (ს/კ: 412741975) კუთვნილი პლასტიკური ბარათების განახლება-აღდგენა, ბარათის ბანკომატის დაკავების შემთხვევაში დაუმზადდეთ ახალი პლასტიკური ბარათი, მოახდინონ ბარათების დაბლოკვა/განბლოკვა. გადაიხადონ საზოგადოების სახელზე რიცხული დავალიანებები. საჭიროების შემთხვევაში დახურონ ანგარიშები, გააუქმონ პლასტიკური ბარათები.
3. იყვნენ საზოგადოების წარმომადგენლები შემოსავლების სამსახურის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან). აწარმოონ შემოსავლების სამსახურის ნებისმიერ სტრუქტურებში **შპს "სანოს"** (ს/კ: 412741975) საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებები, ოპერაციები. მიიღონ ნებისმიერი სახის ცნობა, ინფორმაცია. ხელი მოაწერონ საგადასახადო დავალებებს, მიიღონ შედარების აქტები, შეავსონ დეკლარაციები, მოახდინონ ელექტრონული დეკლარირება.
4. მართონ და განკარგონ **შპს "სანოს"** (ს/კ: 412741975) სახელით საკონტროლო, სალარო, აპარატი.

ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან იყვნენ **შპს "სანოს"** (ს/კ: 412741975) წარმომადგენლები სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრებთან (საგადასახადო ინსპექცია), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებთან, საქართველოს ნებისმიერ ბანკთან, მათ ნებისმიერ ფილიალებთან, სერვისცენტრებთან, კომუნალური მომსახურეობის ორგანოებთან, ელექტროენერგიის, გაზმომარაგების და წყალმომარაგების სამსახურებთან, დადონ და გააუქმონ მათთან შესაბამისი ხელშეკრულებები. მოახდინონ უძრავი ქონების გამრიცხველიანებასთან (აბონენტად აყვანასთან) დაკავშირებული საქმის წარმოება, გადაიხადონ კომუნალური და სხვა სახის გადასახადები.

გამოიყენენ მესამე პირებთან ურთიერთობებში. შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. გადაიხადონ საჭირო მოსაკრებლები.

"მინდობილი პირები" არ არიან უფლებამოსილნი წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე პირს.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მიმნდობმა წაიკითხა აქტი და განაცხადა, რომ იწონებს მას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში. რომელსაც თან ახლავს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო ორი გადაეცემა მიმნდობს. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე 10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი. ჯამში: 12 (თორმეტი) ლარი.

მიმნდობი:

ნოტარიუსი: თამარ ჩაფიძე